საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01 - 02/261

ქ. ბათუმი 03 ნოემბერი, 2022 წელი

2022 წლის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის (დამატებითი მიღება) უფლებამოპოვებულ აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს: 2020 წლის 7 თებერვლის N19, 2020 წლის 31 ივლისის MES 1200000649005 და 2020 წლის 31 ივლისის MES 0200000649004 გადაწყვეტილებების, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, „2022 წლის 5 აპრილის N353012 ბრძანება ,,2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 31 იანვრის N92471 ბრძანების, ,,2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 05 აპრილის N353013 ბრძანების, ,,2022 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 05 აპრილის №353014 ბრძანების, "2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 05 აპრილის N353017 ბრძანების, ,,აპლიკანტის მიერ, 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტისათვის რეიტინგში მისი ადგილის შესახებ (რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება, არჩევის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 05 აპრილის N353018 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

2022 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 აპრილის N01-02/101 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 08 ივლისის N01-02/103 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 24 ივნისის N01-02/149 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 16 ივლისის №01-02/115 ბრძანების, ,,2022 წლის შემოდგომაზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ბსუ-ს საგამოცდო კომისიის შექმნის და პრაქტიკული მოსინჯვის თარიღისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2022 წლის 07 სექტემბრის N01-02/217 ბრძანების,** ,,2022 წლის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 29 სექტემბრის N01-02/230 ბრძანების,** ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლის საშემოდგომო მიღების (დამატებითი მიღება) გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის N01-02/235 ბრძანების,** ,,ბსუ-ს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით (დამატებითი მიღება) აპლიკანთა შეფასების ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 24 ოქტომბრის N01-02/248 ბრძანების,** ,,2022 წლის შემოდგომაზე ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით (დამატებითი მიღება) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის ბსუ-ს საგამოცდო კომისიის შექმნის და პრაქტიკული მოსინჯვის თარიღისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ” **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 24 ოქტომბრის N01-02/249 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2022 წლის 03 ნოემბრის №1396056 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2022 წლის პროფესიული ტესტირების შედეგად ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის (დამატებითი მიღება) უფლებამოპოვებულმა **აპლიკანტებმა** 2022 წლის 03 ნოემბრიდან 04 ნოემბრის **ჩათვლით, 10:00-დან 18:00 საათამდე,** ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის მიზნით ბსუ=ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N306) **წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია**

ა) **განცხადება** (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია, განცხადება უნდა წარმოადგინოს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ქმედუუნარო/ შეზღუდულქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის დაბადების მოწმობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი - ,,ბუღალტრული აღრიცხვის", მებაღეობის", ,,საბიბლიოთეკო საქმის" და ,,სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ხოლო **საბაზო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი** - ,,საფინანსო სერვისების" და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის აღიარების შესახებ).

დ) ორი ფოტოსურათი 3X4-ზე;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს აპლიკანტთა რეგისტრაცია, ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები") განთავსებული განცხადების ტექსტის მომზადება და აპლიკანტთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,სამართლებრივი აქტები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**